20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

2018 წლის 21 მაისი № 217

თბილისი

რკ „პირველი საკრედიტო კავშირი"-ს ლიცენზიის გაუქმების, ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე–15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის 49–ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ე" ქვეპუნქტების და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის, „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების–საკრედიტო კავშირების შესახებ" საქართველოს კანონის 25–ე მუხლის „დ" და „ი" ქვეპუნქტების, ამავე კანონის 26-ე მუხლის და 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–13 მუხლის „ა" ქვეპუნქტის და ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N153/04 ბრძანების საფუძველზე:

1. რკ „პირველ საკრედიტო კავშირს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 404385063) გაუუქმდეს არასაბანკო სადეპოზიტო – საკრედიტო საქმიანობის ლიცენზია და დაიწყოს მისი ლიკვიდაცია;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2010 წლის 13 აგვისტოს N721 განკარგულება;
3. რკ „პირველი საკრედიტო კავშირი"-ს ლიკვიდატორად დაინიშნოს არჩილ ვაშაკიძე (პირადი ნომერი: 01008005193); ლიკვიდატორი ვალდებულია სალიკვიდაციო სამუშაოები განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
4. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N6), მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
5. ეს განკარგულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდსა (www.nbg.gov.ge) და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში (www.matsne.gov.ge);
6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ვიცე-პრეზიდენტი მურთაზ კიკორია